BRITISH COUNCIL

TeachingEnglish

ინკლუზია და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, 2016 წლის 12 და 13 მარტი

სოციალურ-ემოციური ქცევითი დარღვევა (SEBDs) და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD) – სოციალური გარიყვის საკითხები

ნიშნავს რთული მოსწავლე?

დაფიქრდით მოსწავლეზე, რომელთანაც გაგიჭირდათ მუშაობა.

როგორ დაახასიათებდით მას?

დაფიქრდით ადამიანზე, რომელსაც თქვენთან გაუჭირდება მუშაობა.

როგორ დაგახასიათებდათ ის?

არის რაიმე კავშირი ამ დახასიათებებში?

რომელ საუკუნეს ეკუთვნის ეს გამონათქვამი?

‘

“ბავშვებს ახლა ფუფუნება უყვართ. მათ ცუდი ზნე-ჩვეულებები აქვთ და სძულთ ავტორიტეტი, უპატივცემულობას იჩენენ უფროსების მიმართ... ისინი ეწინააღმდეგებიან მშობლებს ...და სასტიკად ეპყრობიან თავიანთ მასწავლებლებს.“

ძვ. წ. მე-4 საუკუნე

ახ.წ. მე-13 საუკუნე

ახ.წ. მე-17 საუკუნე

ახ.წ. 21-ე საუკუნე

„ რომელ საუკუნეს ეკუთვნის ეს გამონათქვამი?

“ბავშვებს ახლა ფუფუნება უყვართ. მათ ცუდი ზნე-ჩვეულებები აქვთ და სძულთ ავტორიტეტი, უპატივცემულობას იჩენენ უფროსების მიმართ... ისინი ეწინააღმდეგებიან მშობლებს ...და სასტიკად ეპყრობიან თავიანთ მასწავლებლებს.“

ძვ. წ. მე-4 საუკუნე **ახ. წ. მე-13 საუკუნე**

ახ. წ. მე-17 საუკუნე **ახ. წ. 21-ე საუკუნე**

პასუხი: ახ. წ. მე-13 საუკუნე. პიტერ განდეგილი, 1274.

ხარისხიანი სწავლების მხარდაჭერა

- სწავლა და შემეცნება



- ქცევითი, ემოციური და სოციალური განვითარება (SMEH)

- კომუნიკაცია და ინტერაქცია

- სენსორული და/ან ფიზიკური
- სოციალური მარგინალიზაციის ფაქტორები

BRITISH COUNCIL

TeachingEnglish

Special Educational Needs

მითი თუ რეალობა? დარღვევა თუ განსხვავებულობა?

ქმნით პოზიტიურ სასწავლო გარემოს?

როგორ შეიძლება იგრძნოს მოსწავლემ თავი და რა შეიძლება მან გააკეთოს?

სოციალურ-ემოციური ქცევითი დარღვევა

SEBD – ახლა სოციალურ-ემოციური და გონებრივი სიჯანსაღის SEMH საჭიროებები

როგორ დავეხმაროთ სოციალურ-ემოციური ქცევითი დარღვევის მქონე მოსწავლეებს?

შემეცნებითი განსხვავებების სპექტრი – neuro-diversity

- დისლექსია (კითხვის უუნარობა)
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი
- დისპრექსია
- აუტისტური სპექტრი
- მეტყველებისა და ენის სირთულეები



გავრცელებული



ტექსტები – კითხვა და წერა
გამომხატველი და რეცეპტული ენა
კარგი მეხსიერება და თანმიმდევრობა
კონცენტრაცია/ყურადღება
სოც. ურთიერთქმედების საჭიროება
სამუშაოს ორგანიზება და დავალებების განაწილება
სწრაფი და ნელი აზროვნება

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოზი ‘ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო, 1994 წელი’ - დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო -IV/V

http://www.psychiatry.org/psychiatrists/practice/dsm

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოზი დაისმება მაშინ,

როდესაც ბავშვი ავლენს უყურადღებობის ნიშნებს ან ერთობლივად იმპულსიურობისა და ჰიპერაქტიურობის ნიშნებს.

ასევე, საჭიროა ნიშნები გამოვლენილ იქნას 7 წლამდე ასაკში და ორ ან მეტ გარემოში, მაგ. სახლსა და სკოლაში.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოზი კატეგორიები – უყურადღებობა, ჰიპერაქტიურ-იმპულსურობა და ამ ორის ერთობლიობა

ხშირად ვერ ახდენს დეტალებზე ყურადღების გამახვილებას ან დაუფიქრებელ შეცდომებს უშვებს საშინაო დავალებებში ან სხვა აქტივობებში

ხშირ შემთხვევაში უჭირს ყურადღების შენარჩუნება ან გაფანტულია დავალებებსა თუ თამაშებში

ხშირად არ ისმენს, როდესაც პირისპირ ესაუბრებიან/მიმართავენ

ხშირად არ მიჰყვება ინსტრუქციას და უჭირს დავალებების ან სამუშაოს და მოვალეობების ბოლომდე შესრულება.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოზის კატეგორიები – უყურადღებობა, ჰიპერაქტიურ-იმპულსურობა და ამ ორის ერთობლიობა

ხშირად ვერ ახერხებს დავალებებისა და აქტივობების წესრიგში მოყვანას



ხშირად არიდებს თავს, არ მოსწონს ან ყოყმანობს ჩაერთოს დავალებებში, რომელიც უწყვეტ გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს, მაგ. საშინაო დავალება

ხშირად კარგავს დავალებისთვის საჭირო საგნებს და გულმავიწყია ყოველდღიურ საქმიანობებში

ხშირად კითხვის დასრულებამდე წამოისვრის პასუხებს და არ ელოდება თავის ჯერს ან ხელს უშლის სხვებს

რას ვგრძნობთ ზოგიერთი ჩვენი მოსწავლის მიმართ?



სწავლის სამკუთხედი



სკოლის გამოცდილება – მაიკლის ისტორია
რა სირთულეები აქვს მაიკლს სწავლისას?

“ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ლატარიის მანქანა ტრიალებდეს თავში. ორმოცდათხუთმეტი ბურთი ირევა იქით-აქეთ. თუ ყურადღებას მივაქცევ, დავინახავ შემთხვევით ამოვარდნილ ნომერს თითოეულ ბურთზე. ერთი წამით ვხედავ, მერე კი ქრება. შემდეგ სხვას ვხედავ და ისიც ისევე ქრება. თუ ყველა ნომრის ყურადღების მიპყრობას ვეცდები, ვერ შევძლებ მათ აღქმას.”

“ჩემს ტვინში ინფორმაცია მოძრაობს. უეცრად ბევრი რამ ხტება ზედაპირზე ერთდროულად.

რთულია კონცენტრაციის მოხდენა, ერთ ადგილას ვერ ვჩერდები და გაკვეთილზეც მიჭირს ყურადღების კონცენტრაცია. უნდა ვიმოძრაო ან ფანჯრიდან გავიხედო”

მაიკლისა და იმ მოსწავლეების დახმარება, რომელთაც კონცენტრაციის პრობლემები აქვთ

- ✓ ინსტრუქციების ცალ-ცალკე მიცემა/დაქუცმაცება
- ✓ გამოიყენეთ ვიზუალური დამხმარე საშუალებები, ცხრილები და ფერადი კოდირება
- ✓ გამოიყენეთ შედეგზე ორიენტირებული მიდგომა
- ✓ დასახეთ მიზანი სამუშაოს თითოეული ნაწილისთვის
- ✓ მეტად რთულ საკითხებზე იმუშავეთ დღის დასაწყისში
- ✓ გააკეთეთ მიმოხილვა
- ✓ დაამყარეთ პირადი კონტაქტი
- ✓ მიეცით შესვენების საშუალება
- ✓ აღკვეთეთ მოსალოდნელი წესრიგის დარღვევა
- ✓ აიცილეთ თავიდან ყურადღების გაფანტვა
- ✓ დაუშვით დაგვიანებული ნამუშევარი და დაუწერეთ გარკვეული ნიშანი ნაწილობრივ გაკეთებული სამუშაოსთვის
- ✓ შეცვალეთ თქვენი დამოკიდებულება ქცევის მიმართ

ენის ეფექტურად შემსწავლელი?

- შეუძლია გარისკვა და სიახლეების მოსინჯვა
- ითხოვს დახმარებას მასწავლებლის

კრიტიკისა თუ დაცინვის მოლოდინის გარეშე

- შეუძლია თავის დავალებაზე კონცენტრირების მოხდენა
- შეუძლია სწავლასთან დაკავშირებული ისეთი რთული შეგრძნებების გადალახვა, როგორიცაა სასოწარკვეთა, გაბრაზება და იმედგაცრუება შეცდომის დაშვების დროს
- შეუძლია გაუმკლავდეს არცოდნას და მისცეს მასწავლებელს საშუალება ასწავლოს

ენის ქმედითი შემსწავლელი?

ელოდება სხვების ყურადღების მიპყრობას

ემორჩილება საკლასო წესებს

ოპტიმისტურად არის განწყობილი და დადებითად ეკიდება პრობლემას

სწამს, რომ საკლასო ოთახში უსაფრთხო გარემოა

აქვს მასწავლებლის ნდობა

სწამს, რომ შეუძლია სწავლა და აქვს მაღალი ღირსების შეგრძნება

რატომ არ შეუძლია ზოგიერთ ბავშვს დავალებაზე კონცენტრირება?

- ზოგიერთ ბავშვს მოუწია მაღალი საშიშროების ზონაში ცხოვრება და ფიქრობენ, რომ გარშემო მუდმივად საშიშროებაა.

  მათ არ შეუძლიათ საგანზე კონცენტრირება, რადგან ისინი გამუდმებით ეძებენ გარშემო მოსალოდნელ საშიშროებას.

ზოგიერთი ბავშვი საშიშ გარემოში ცხოვრობდა და ამის გამო, სწავლის გამო რისკის გაწევა არ ძალუძთ. მათ უსაფრთხოდ ყოფნის გამოცდილება არ აქვთ. შესაბამისად, მათ უჭირთ ზრდასრულთა ნდობა და კლასში შეცდომის დასაშვებად რისკის გაწევა.

- ზოგიერთს ზრდასრულებთან ცუდი გამოცდილება ჰქონდა. როდესაც დახმარება ითხოვეს, მათ პასუხად უყვირეს, ყურადღება არ მიაქციეს ან დაამცირეს.

სირთულე მოსწავლისთვის შესაძლო მიზეზი

მოსწავლე არ ითხოვს დახმარებას , რადგან მას ეშინია უგულებელყოფის.	მშობლის ფსიქიკური დაავადება ან დეპრესია. ბავშვები ზოგჯერ ხვდებიან, რომ მათ მოთხოვნებთან გამკლავებას მშობელი ვერ ახერხებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მშობელი დეპრესიაშია. ამგვარად, ბავშვმა შესაძლოა აღარ ითხოვოს დახმარება, რადგან მშობელს არ შეუძლია სათანადოდ პასუხის გაცემა.
მოსწავლეს არ შეუძლია შეცდომის დაშვების რისკის გაწევა	ცუდად მოპყრობა, მაგალითად, მუდმივი დაცინვა შეცდომების გამო. ემოციური დატუქსვა ხშირად ნიშნავს ბავშვის სულელად მოხსენიებას და მათ შეცდომების გამო დაცინვას. ბავშვებმა შესაძლოა ჩათვალონ, რომ უმჯობესია, ახალი არაფერი ცადონ, ვიდრე მათ ეს ძალიან კარგად არ გამოსდით.

სირთულე მოსწავლისთვის შესაძლო მიზეზი

მოსწავლე ვერ ახდენს კონცენტრაციას დავალებაზე და მუდმივად შიშის ქვეშ იმყოფება	ოჯახური ძალადობა. ბავშვები ხანდახან ხვდებიან, რომ მათი სამყარო არ არის უსაფრთხო და გარშემომყოფ ზრდასრულთა ხასიათი შესაძლოა უცაბედად ძალადობისკენ შეიცვალოს. ბავშვი იწყებს მუდმივ კონტროლს გარემოსი, რათა თავიდან აიცილოს ძალადობა.
მოსწავლე უარყოფითად პასუხობს ნებისმიერი სახის ცვლილებას ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ კლასში	სახლისა თუ ოჯახის ცვლილება რამდენჯერმე. ბავშვები, რომლებიც იყვნენ მეურვეობის ქვეშ ან მოუხდათ ბევრჯერ გადაადგილება მშობელთა გაშორების ან ძალადობის გამო ხანდახან სწავლობენ, რომ ცვლილება არის უეცარი, არაპროგნოზირებადი და სამწუხარო. მათ ცუდი რეაქცია აქვთ სკოლაში მიმდინარე ცვლილებებზე , რადგან ის ტკივილით აღსავსე ცვლილებებს ახსენებს მათ.

დასაფიქრებელი საკითხი

‘ ‘ბავშვის მიმდინარე ქცევა ხშირად ასახავს არსებითად ჯანსაღ რეაქციას ცხოვრების არამყარ გარემოებებზე.’

ბერი **1997 (**ციტირებულია **Visser, J and Rayner, S (1999)** ემოციური და ქცევითი სირთულეები **: A Reader. QEd.)**

‘უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოსწავლის ქცევითი სფერო საკმაოდ ემოციურია. მასწავლებელს უწევს საკუთარი პროფესიული კომპეტენციის ძალების და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის გამოცდა აგრეთვე მშობელსაც. . . ემოციები ხშირად ხელს უშლის კონსტრუქციულ დაგეგმვას.’

პიტერ გრეი და სიუ პენტერი, სწავლის ხელშეწყობა, ტომი **15, No 1.**

სწავლაში დასახმარებლად გამოსაყენებელი შესაძლო მიდგომა და გადაჭრის გზები

არც ჯადოქრობა და არც ხრიკები საჭირო არ არის

…..მაგრამ

იდეები და გადაჭრის შესაძლო გზები

- ✓ სწავლისთვის თქვენი მზაობა - მოიხსენით ტვირთი
- ✓ რამდენ- ხანს მოიცავს წუთი?

- ✓ ეს მხოლოდ ხმაურია ჩემთვის!
- ✓ ფერადი წინადადებების შედგენა და ფიზიკური წინადადებები

- ✓ ვიზუალური განრიგის შედგენა

როგორ განწყობაზე ხართ სწავლისთვის?

ჩვენი ნახატი – ჩვენი ტექსტი

შექმენით საზაფხულო სკოლის ბანაკი



სირთულეები თანმიმდევრობაში - ასაწყობი თამაშები

- ერთიანი საკლასო კითხვის ან მოსმენის დავალებები
- ***თითქმის შეუძლებელი*** მათთვის, ვისაც თანმიმდევრულად მიყოლის პრობლემა აქვს
- ყურადღება გაამახვილეთ ფორმაზე და არა ტექსტზე
- გააკეთეთ ზოგადი მიმოხილვა

წინადადების შედგენა – მოქნილი სინტაქსი

არტიკლები	ზედსართავი სახელები	არსებითი სახელები	ზმნები	წინდებულები	ზმნიზედები

წერა და კითხვა

BROGY



მოსწავლის შექმნილი სურათები



ფონემის ცოდნა:

Discriminating English vowel sounds like / I / and / i: /

Activity

King Will

Queen Jean

**Cheese*Meat*Liver*Beans*Chips*Chicken*
Leeks*Fish*Yeast*Milk*Greens*Peaches**

ვიზუალური განრიგები

	MONDAY	TUESDAY	WEDNESDAY	THURSDAY	FRIDAY
8.45-9.00	Registration				
9.00-10.00	English	Maths	English	Maths	Science
10.00-11.00	Maths	English	Maths	English	R.E.
11.00-11.15	Break				
11.15-12.15	Science	Science	P.E.	Science	French
12.15-1.00	Lunch				
1.00-2.00	P.E.	Music	French	Art	Technology
2.00-3.00	Technology	I.T	History	Citizenship	Geography

საკლასო რჩევები და სტრატეგიები

- უთხარით მოსწავლეებს, რაც გინდათ, რომ მათ გააკეთონ და არა ის, რაც მათ არ უნდა გააკეთონ
- სიფრთხილით მოეკიდეთ განწყობის შექმნას, სიჩუმისკენ მოწოდებამ შესაძლოა უკურეაქცია გამოიწვიოს

- მიუთითეთ მათ ბაზისის, დემოსა და ვიზუალის ცოდნის საჭიროებებზე; ერთგვაროვნად გამოიყენეთ სივრცე;
- დაფიქრდით, როგორ დგახართ. გაჩერდით ერთ ადგილას, ისე რომ წონა თანაბრად იყოს განაწილებული როცა მითითებებს გასცემთ, ფეხები კი წინ გქონდეთ ყურადღების მისაქცევად.

- მითითებების მიცემა უნდა ხდებოდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილიდან, დისციპლინის მართვისთვის კი სხვა ადგილი ამოარჩიეთ

კლასის მართვის სხვა რჩევები……

- ყურადღება გაამახვილეთ საჭიროებაზე ნაცვლად ვალდებულებისა. ‘შენ არ გჭირდება ასე მოქცევა.’
- აღნიშნეთ და ყურადღება გაამახვილეთ მოსწავლეებზე, რომლებიც დავალებას სწორად აკეთებენ. ‘ეს მაგიდა უკვე მზად არის, ყოჩაღ!’
- მითითებისას გამოიყენეთ ‘მადლობა’, ‘ჯონ, გთხოვ, აქ გადმოჯექი, გმადლობ’
- სადაც შესაძლებელია, ჩართეთ არჩევანის საშუალება . ‘კარგი, შეგიძლიათ მარტო ან ჯგუფურად იმუშაოთ.’
- ყურადღება გადაიტანეთ კონფლიქტის დროს.

რამდენიმე პირადი რჩევა

- იყავი საკუთარი თავის საუკეთესო მეგობარი/მრჩეველი
- ჩამოწერეთ 6 ყველაზე მკაფიო საკითხი
- ჩამოწერეთ ყველა ის მიზეზი, რაც თქვენს სტრესს იწვევს. ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რისი კონტროლიც შეგიძლიათ

- გამოიმუშავეთ პოზიტიური მექანიზმები განწყობის შესაცვლელად
- ესაუბრეთ თქვენთვის სანდო კოლეგებს, შეთანხმდით განტვირთვის გზებზე. თავი აარიდეთ უარყოფითი შეგრძნებების ჩახშობას
- მართეთ თქვენი ფიზიკური თუ ემოციური კეთილდღეობა

და ბოლოს – რა უნდა ვისწავლოთ

- ✓ სოციალურ-ემოციური ქცევითი დარღვევის (SEBDs) და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს ესაჭიროებათ სწავლა/დარიგება – ისინი ურჩი არ არიან
- ✓ მასწავლებლებმა უნდა შეძლონ საკუთარი ემოციური მდგომარეობის მართვა, რათა უპასუხონ მოსწავლეთა საჭიროებებს
- ✓ ქცევა გარკვეული სახის კომუნიკაციაა: მასწავლებლებმა უნდა ეცადონ ამა თუ იმ ქცევის გაგება
- ✓ ბავშვის საწყისი ცხოვრებისეული გამოცდილება მოქმედებს მათ ქცევასა და სწავლაზე საკლასო პირობებში
- ✓ მოსწავლეთა ქცევის შეცვლა მათდამი რეაქციის ცვლილებით მიიღწევა
- ✓ მოსწავლეები უკეთ რეაგირებენ დადებით კომუნიკაციაზე და არა აგრესიულსა თუ პასიურზე
- ✓ წამახალისებელი ან სადამსჯელო ღონისძიებები ნათელი უნდა იყოს მოსწავლეთათვის
- ✓ სასწავლო გეგმა გვაძლევს სოციალურ, ემოციურ თუ ქცევით უნარებზე მუშაობის შესაძლებლობას

www.teachingenglish.org.uk

გმადლობთ

phil.dexter@britishcouncil.org